ჭეშმარიტად, თქვენ გაჰყვებით თქვენამდე მყოფთა გზას მტკაველ მტკაველამდე და მკლავიდან მკლავამდე

აბუ სა'იდ ალ-ხუდრი (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ მან თქვა: თქვა ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას): «ჭეშმარიტად, თქვენ გაჰყვებით თქვენამდე მყოფთა გზას მტკაველ მტკაველამდე და მკლავიდან მკლავამდე, ისე, რომ თუკი ისინი შევიდოდნენ ხვლიკის ხვრელში, თქვენც მათ გაჰყვებოდით». ვკითხეთ: "ო, ალლაჰის შუამავალო, იუდეველებს და ქრისტიანებს გულისხმობ?" მან თქვა: «აბა, სხვა ვინ?»
[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

ალლაჰის შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნობს, თუ როგორო იქნება მისი უმმეთის ზოგიერთი წევრის მდგომარეობა მისი დროის შემდეგ. ისინი ზუსტად მიჰყვებიან იუდეველებისა და ქრისტიანების გზას მათ რწმენებში, ქმედებებში, ჩვევებსა და ტრადიციებში, ისე დეტალურად და ზუსტად, როგორც მტკაველი მტკაველში და მკლავი მკლავში, ისე რომ თუკი ისინი შევიდოდნენ ხვლიკის ხვრელში, ეს ხალხიც მათ მიჰყვებოდა.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/3355

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY
لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee